ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 52

5 აპრილი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ერთად

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

სხდომას ესწრებოდა:

საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01190913458 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (საკრ.№15-0319091190-03 01.04.2019წ)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ლევან მიქავამ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია მთაწმინდის რაიონის გამგეობის მოთხოვნა, სადაც გამგეობის ადმინისტრაციის აპარატის გამართული ფუნქციონირებისათვის, კომპიუტერების შესაძენად, ითხოვენ „არაფინანსური აქტივების" მუხლში- 18 500 ლარის დამატებას, „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან.

გარდა ამისა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, პროგრამიდან: „ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია"(კოდი 04 09), ხდება 135 000 ლარის გადატანა პროგრამაში: „თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები" (კოდი 04 03). სამსახური წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ 2018 წლის დეკემბერში მერიასა და შპს „ი-კორპ"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის შედგენას. ხელშეკრულების მოქმედების ვადამ გადაიწია 2019 წლის აპრილამდე, შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულების გადახდის ვალდებულება სამსახურს შეექმნა 2019 წელს, რაც არ იყო გათვალისწინებული ამ წლის ბიუჯეტში.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით მათზე მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური და მთაწმინდის რაიონის გამგეობა ითხოვს მათზე მიკუთვნებული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას , ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად პროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო - საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა